წარმომადგენლობითი საბჭოს
გადაწყვეტილება № 7-05
24 02 2023წ.

გორი

,,სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ" წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 ივლისის 09-35 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 30 აგვისტოს N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-12 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტების საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გადაწყვიტა:

1. ,,სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ" წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 ივლისის 09-35 გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და გადაწყვეტილების:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ";

ბ) 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. დამტკიცდეს სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტის შედგენის წესი დანართის შესაბამისად.";

გ) 1-ლი პუნქტით დამტკიცებული წესის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტის შედგენის წესი";

დ) 1-ლი პუნქტით დამტკიცებული წესის:

დ.ა) 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი") ბიუჯეტის შედგენის წესი (შემდგომში - ,,წესი") შემუშავებულია ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 30 აგვისტოს N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდებისა და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე.";

დ.ბ) მე-4 მუხლის:

დ.ბ.ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. უნივერსიტეტის ბიუჯეტის პროექტის შედგენას უზრუნველყოფს ფინანსებისა და შესყიდვების სამსახური, რომელიც ყოველი წლის 1 ოქტომბრიდან იწყებს მუშაობას დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ბიუჯეტის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების განსაზღვრაზე, უნივერსიტეტის ძირითად საგანმანათლებლო და სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ურთიერთთანამშრომლობით და მათ მონაცემებზე დაყრდნობით.";

დ.ბ.ბ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,5. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და ფინანსებისა და შესყიდვების სამსახური ძირითადი საგანმანათლებლო და სხვა სტრუქტურული ერთეულებიდან წარმოდგენილი მონაცემების დამუშავების, მათთან კონსულტაციებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე ადგენს ბიუჯეტის პროექტს.“.

4. კანცელარიის უფროსს დაევალოს ეს გადაწყვეტილება განათავსოს ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას;

5. საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფის განყოფილებას დაევალოს ამ დადგენილების განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

6. ეს გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2023 წლის 01 მარტს.

7. წინამდებარე გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

სპიკერი კარლო ცერცვაძე